



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№31

2017 წლის 11 იანვარი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.გ“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის N60 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. გადაეცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს“ დროებით სარგებლობაში - უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, სამსახურის არსებობის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ.ლაგოდეხში ჯანელიძის ქუჩაზე მდებარე შენობის (ს/კ:54.01.51.044) მეორე სართული (სულ ფართი - 504,9 კვ.მ).

*საფუძველი: ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის 2017 წლის 10 იანვრის N29 მომართვა.*


მუხლი 2. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს ნინო ბატიაშვილს, ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ქონების გადასაცემად ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება.

მუხლი 3. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ უფროსს გიორგი ჩალათაშვილს მხარესთან ხელშეკრულების გაფორმება და დადებულ ხელშეკრულებაზე კონტროლი.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №24.

გამგებლის მ/შემსრულებელი:



გიორგი ბოკერია